CHANGAN | SR AUTO

ავტომობილის საგარანტიო პირობები



SR AUTO - CHANGAN-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში

სარჩევი

1. შესავალი
2. საგარანტიო პირობები
3. რას არ ფარავს გარანტია
4. გარანტიის შენარჩუნების პირობები
5. სერვისი და ტექნიკური მომსახურება
6. მნიშვნელოვანი ინფორმაცია გარანტიის შესახებ



CHANGAN | SR AUTO

შესავალი

ჩვენი მიზანია უზრუნველვყოთ თქვენი ავტომობილის გამოყენების მაქსიმალურად კომფორტული, უსაფრთხო და საიმედო გამოცდილება. საქართველოში CHANGAN-ის ოფიციალური წარმომადგენელი – SR AUTO გთავაზობთ ავტომობილის საგარანტიო და ტექნიკურ მომსახურებას წინამდებარე ბროშურითა და შესაბამისი საგარანტიო პირობებით განსაზღვრული წესით. ჩვენი ავტორიზებული სერვის ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე დიაგნოსტიკური სისტემებით, სპეციალიზებული აღჭურვილობითა და ორიგინალი ნაწილებით, რაც უზრუნველყოფს ყველა სერვისისა და შეკეთების უმაღლეს სტანდარტს. მწარმოებლის მოთხოვნებთან შესაბამისი საცხებ - საპოხი მასალების გამოყენება მნიშვნელოვანია ავტომობილის გამართული და ხანგრძლივი ექსპლუატაციისთვის. რეკომენდებულია CHANGAN-ის მიერ განსაზღვრული ზეთებისა და საექსპლუატაციო სითხეების გამოყენება. კომერციული გარანტიის შენარჩუნების მიზნით, ავტომობილის ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელდეს SR AUTO-ს ავტორიზებულ სერვის ცენტრში, ხოლო სათადარიგო ნაწილების შეცვლის საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს CHANGAN-ის ორიგინალი ან მწარმოებლის მიერ ნებადართული სათადარიგო ნაწილები.



CHANGAN | SR AUTO

ბროშურის მიზანი

წინამდებარე ბროშურა გაწვდით ძირითად ინფორმაციას CHANGAN-ის ავტომობილის კომერციული გარანტიის, მისი მოქმედების ვადის, დაფარვისა და გარანტიის შენარჩუნების ძირითადი პირობების შესახებ. დეტალური საგარანტიო პირობები განისაზღვრება ავტომობილის ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისი დანართითა და მომხმარებლისთვის გადაცემული საგარანტიო დოკუმენტაციით.

რას ფარავს გარანტია

საგარანტიო პერიოდში, საგარანტიო პირობებით გათვალისწინებული ქარხნული დეფექტის შემთხვევაში:

- საგარანტიო დიაგნოსტიკა და შეკეთება ხორციელდება ანაზღაურების გარეშე
- საგარანტიო მომსახურება მოიცავს შესაბამისი სამუშაოებისა და დეფექტის აღმოსაფხვრელად საჭირო ნაწილების/მასალების ღირებულებას
- საგარანტიო მომსახურება ხორციელდება SR AUTO-ს ავტორიზებულ სერვის ცენტრში
- საგარანტიო მომსახურების ფარგლებში შეცვლილი დაზიანებული დეტალი გადადის კომპანიის საკუთრებაში



CHANGAN | SR AUTO

საგარანტიო პირობები

ძირითადი საგარანტიო პერიოდი

5 წელი ან 150,000 კმ (რომელიც პირველად დადგება)

5 წელი ან 150,000 კმ. გარბენი მოიცავს გარანტიას შემდეგ ნაწილებზე:

- ძრავა
- გადაცემათა კოლოფი და/ან რედუქტორი
- საჭის ელექტრო გამაძლიერებელი
- ABS სისტემა (ელექტრონული დამუხრუჭების სისტემის ჩათვლით)
- აუდიო და მულტიმედიის სისტემა
- კონდიციონერი და კლიმატური სისტემა
- LED და ქსენონის განათების სისტემა
- START-STOP ღილაკი
- ცენტრალური საკეტი და გასაღების სისტემა
- ამორტიზატორი
- მორგვის საკისარი
- ამძრავი მუფტა
- მაღალი ძაბვის ელემენტი

2 წელი ან 65,000. კმ. გარბენი მოიცავს გარანტიას შემდეგ ნაწილებზე:

- კატალიზატორის სისტემა და ჟანგბადის სენსორი
- საწვავის ტუმბო
- სტარტერი
- გენერატორი
- ყველა სახის გაყვანილობა

3 თვე ან 5000. კმ. გარბენი მოიცავს გარანტიას შემდეგ ნაწილებზე:

- ჰალოგენის სანათები, ნათურები
- ჰაერისა და სალონის ფილტრი
- საწვავის ფილტრი
- აალების სანთლები
- მთავარი ელემენტი (აკუმულატორი)
- მუხრუჭები (ხუნდები)

CHANGAN | SR AUTO

გარანტიის მოქმედებისა და შენარჩუნების პირობები

გარანტია არ ვრცელდება შემდეგ შემთხვევებზე:

- ბუნებრივი ცვეთა
- არასათანადო ექსპლუატაციით გამოწვეული დაზიანება
- ავარიით, მექანიკური ზემოქმედებით ან სხვა გარე ფაქტორით გამოწვეული დაზიანება
- მწარმოებლის მოთხოვნებთან შეუსაბამო საწვავის, ზეთის, სითხის ან სხვა მასალის გამოყენებით გამოწვეული დაზიანება
- არაავტორიზებულ სერვის ცენტრში ტექნიკური მომსახურების ან შეკეთების განხორციელება
- ავტომობილის თვითნებური მოდიფიკაცია ან არაორიგინალი სათადარიგო ნაწილების გამოყენება

კომერციული გარანტია არ ფარავს:

- პერიოდული ტექნიკური მომსახურებისას გამოსაცვლელ სახარჯ მასალებსა და ბუნებრივ ცვეთას დაქვემდებარებულ ნაწილებს
- ექსპლუატაციის შედეგად წარმოშობილ კოსმეტიკურ დაზიანებებს, რომლებიც არ არის გამოწვეული ქარხნული დეფექტით
- ავტომობილის გაუმართაობასთან დაკავშირებულ დამატებით ხარჯებსა და ფინანსურ დანაკარგებს, მათ შორის ავტომობილის დროებით გამოუყენებლობასთან, ტრანსპორტირებასთან ან დაკარგულ შემოსავალთან დაკავშირებულ ხარჯებს.

კომერციული გარანტიის შენარჩუნებისთვის მყიდველი ვალდებულია:

- პერიოდული ტექნიკური მომსახურება ჩაატაროს დადგენილ ვადებში
- ავტომობილის ტექნიკური მომსახურება და შეკეთება განახორციელოს SR AUTO-ს ავტორიზებულ სერვის ცენტრში
- გამოიყენოს მწარმოებლის მოთხოვნებთან შესაბამისი ზეთები და სითხეები



CHANGAN | SR AUTO

ავტომობილის გამართული, უსაფრთხო და საიმედო ექსპლუატაციისთვის მნიშვნელოვანია მისი რეგულარული შემოწმება და ტექნიკური მომსახურება მწარმოებლის მიერ განსაზღვრული მოთხოვნებისა და პერიოდულობის შესაბამისად

რეგულარული კონტროლი:

- ძრავის ზეთის დონის შემოწმება
- საბურავების მდგომარეობისა და წნევის კონტროლი
- განათების სისტემის გამართულობის შემოწმება
- საექსპლუატაციო სითხეების დონის კონტროლი

პერიოდული ტექნიკური მომსახურება:

- ავტორიზებულ სერვის ცენტრში გეგმიური ტექნიკური შემოწმება
- ავტორიზებულ სერვის ცენტრში შესაბამისი ზეთებისა და ფილტრების დროული შეცვლა
- ავტორიზებულ სერვის ცენტრში ავტომობილის სისტემების დიაგნოსტიკა



CHANGAN | SR AUTO

გარანტიის გამცემი:
შპს „სრ ჯგუფი საქართველო“ ს/კ 405628780

გარანტიის მოქმედების ტერიტორია: საქართველო

საგარანტიო მოთხოვნის წარდგენა: საგარანტიო შემთხვევის გამოვლენისას მყიდველმა უნდა მიმართოს SR AUTO-ს ავტორიზებულ სერვის ცენტრს. საგარანტიო მოთხოვნის წარდგენა შესაძლებელია შესაბამისი კომპონენტისთვის განსაზღვრული საგარანტიო ვადის განმავლობაში.

კომერციული გარანტია არ ზღუდავს მომხმარებლის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებებს.

საკონტაქტო ინფორმაცია:

შოურუმის მისამართი: მარშალ გელოვანის 52

სერვის ცენტრის მისამართი: აღმაშენებლის ხეივანი 119ა

ტელ : *5544

ელ. ფოსტა: info@srgroup.ge

Changanauto.ge